სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/98

ქ. თბილისი

5 ივლისი 2023 წ.

65 წლის და მეტი ასაკის მქონე პირის მიერ ადმინისტრაციული თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის უფლების მიცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის, თენგიზ ცერცვაძის განცხადების და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 5 ივლისის №01-05-02/18 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. ინდივიდუალური განხილვისა და ფარული კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, თენგიზ ცინცაძეს მიეცეს სტუ-ის ჰიდრომეტეოროლოგიურ ინსტიტუტში დირექტორის ადმინისტრაციული თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ ღია კონკურსში მონაწილეობის უფლება;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**